სხდომა გახსნა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. პ. რუბენმა. მან სიტყვა მისცა რიგის დიდი-პანელიანი სახლთმშენებლობის ტრესტის მილჩამწყობთა ბრიგადირს დეპუტატ ა. ა. დამბისს. დეპუტატმა თავისი კოლექტივის მალითით გააშუქა შრომითი საადგი დღეების მიღწევები, ამასთანავე ილაპარაკა სიძნელეებზე, რომელსაც აწყდებიან რიგის, ქვეყნის სხვა ქალაქების მშენებლობებზე. ამ სიძნელეებიდან ბევრი ძალებისა და სახსრების გაუმართლებელი დაქაქცვით არ გამოწვეული. სამშენებლო სამეშაოთა დაგეგმვისა და რიგითობისადმი ასეთი მიდგომა სამართლიანად გააკრიტიკეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე.

სიძნელეების დაძლევის, შრომის ეფექტიანობის ზრდის ერთ-ერთი გზაა ქვეყნის საუკეთესო კოლექტივების გამოცდილების ფართო გამოყენება. ლატვიაში, აღნიშნა ორატორმა, სწრაფად გავრცელდა ბრიგადული იჯარის მეთოდი. დეპუტატმა გამოთქვა კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც დაკავშირებულია მშენებლობისათვის განკუთვნილი მცირე მექანიზაციის მაღალეფექტიან საშუალებათა გამოშვების დაჩქარებასთან.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა თ. ნ. მენთეშაშვილმა ილაპარაკა საქალაქო კომიტეტის ფართო საქმიანობაზე, რომელიც მრეწველობისა და საქალაქო მეურნეობის განვითარებასთან არის დაკავშირებული. (სიტყვა დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში).

აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა ხ. ბ. ტალიევმა ხაზი გაუსვა, რომ რესპუბლიკის მშრომელნი ილვწრან, რათა წარმატებით შეასრულონ გეგმები და ვალდებულებანი, ღირსეული წ�eლი შეეტანონ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

ორატორმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმ დადებითებულ ცვლილებებს, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი სპეციალიზაციის ღონისძიებათა შესახებ, მევენახეობის განვითარების თაობაზე. დეპუტატს საჭიროდ მიაჩნია რესპუბლიკაში დაჩქარდეს სამრეწველო მევენახეობისათვის განკუთვნილი რკინა-ბეტონის სარების დამამზადებელი ქარხნისა და სხვა იმ საწარმოების მშენებლობა, რომელიც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციასა და კონცენტრაციასთან არის დაკავშირებული.

ისევე, როგორც სხვა დეპუტატებმა, მან ყურადღება გამოიყენა დამატებიდან ქვეყნის 1980 წლის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებასა.

(ბოლო იხილეთ ... ნომერში)

ეროვნებათა საბჭოს ... ცენტრალური კომიტეტის ... დეპუტატმა ო. ბ. ნოსგალიევმ დააბასაბა რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების შედეგები და განსაკუთრებით აღნიშნა სოფლის მშრომელთა თავდადებული ბრძოლა გასული და მიმდინარე წლების უაღრესად არახელსაყრელი ამინდის პირობების შედეგების ლიკვიდაციისათვის. კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა დროულად აიღეს მთელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი და დიდი ოქტომბრის 62-ე წლისთავის დამდეგს უპატაკეს სამშობლოს მარცვლეულის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულისა და ხილის მიყიდვის წლიურ დავალებათა შესრულება. კარგი საფუძველია შექმნილი მომავალი წლის მოსავლისათვის.

ორატორმა ყურადღება გაამახვილა ლიტვის სახალხო მეურნეობის ზოგიერთ გაღასაჭრელ საკითხზე.

მოლდავეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა დეპუტატმა ა. ა. ეუჩენკომ ილაპარაკა რესპუბლიკის მეცნიერთა წვლილზე სახალხო მეურნეობის განვითარებაში. მან ხაზი გაუსვა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, დიდი მასშტაბის კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის პირობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცნიერების როლი და პასუხისმგებლობა.

ახლა მოლდავეთში არის სელექციურ-ტექნოლოგიური პროფილის 13 სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება. მათი საქმიანობის პრაქტიკულმა გამოცდილებამ დადასტურა აგრარული მეცნიერების ორგანიზაციის ასეთი ფორმის პრინციპული უპირატესობა, თქვა ორატორმა, ახალ პირობებში მკვეთრად გაიზარდა მეცნიერული რეკომენდაციების კომპლექსურობა და ტექნოლოგიურობა.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

...ეგოსლავიის ხალხის დღესასწაული

...ოსკოვი

მიმდინარე ხუთწლედში წინა ხუთწლედთან შედარებით თითქმის გაორკეცდება საქონელგაცვლა სსრ კავშირსა და იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას შორის. ორი ქვეყნის საკავშირო-ეკონომიკური თანამშრომლობა ახალ ფორმებს იძენს და ღონისძიებად დინამიკურად ვითარდება. ეს ფაქტები დაასახელეს 27 ნოემბერს მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულს — რესპუბლიკის დღეს.

კრებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მხიართმოავრები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მომხსენებელმა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. გ. მოროზოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის სტაბილური ურთიერთობის, ურთიერთგაგებისა და ნდობის განმტკიცების საამედო საფუძველია ის პრინციპები და დებულებები, რომლებიც შეიცავ ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. ბროზ ტიტოს შეხვედრებისა და მოლაპარაკების შედეგად მიღებულ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ერთობლივ დოკუმენტებში.

(საკადესი).

თბილისი

29 ნოემბერს გაიმართა თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების კრება იუგოსლავი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის 34-ე წლისთავის აღსანიშნავად. კრება გახსნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ველიჯანაშვილმა. მოხსენება გააკეთა პროფესორმა ს. კობალაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად ახარებთ იუგოსლავ მშრომელთა მიღწევები. ისინი რწმენას გამოთქვამენ, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში გამოწრთობილი საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდება და განვითარდება.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ მეგობრულ კავშირურთიერთობებზე, კონტაქტებზე, რომლებიც საქართველოსა და იუგოსლავიას შორის დამყარდა.

იუგოსლავ ხალხს დღესასწაული მიულოცეს და ყოველივე საუკეთესო უსურვეს ელმაჯალასშენებელი ქარხნის მუშამ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. მეტონიძემ, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ი. ჩიკვაძემ.

კრების მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს. (საქინფორმი).

შეჯიბრება — მეგობრობა

უკრაინელი სტუმრები ჩოხატაურში

ჩოხატაური. (ტელეფონით. სპეც. კორ. ბ. ჩხაიძე.). როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იცნეს, სამი წელია, რაც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან უკრაინის სსრ ზაპოროჟიეს ოლქის ალმოვკის რაიონისა და საქართველოს სსრ ჩოხატაურის რაიონის მშრომელები. მიმდინარეობს საქმიანი მიმოწერა, დელეგაციების გაცვლა გამოცდილების გაზიარების მიზნით და სხვ.

ამ დღეებში ჩოხატაურში ჩამოვიდა უკრაინელთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან ნიკოლოზ მირჩენკო — ალმოვკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (დელეგაციის მეთაური), ვლადიმერ ივლევი — სახელმწიფო ჯეშოსანაშენე საბჭოთა მეურნეობა-ქარხნის „კომუნისტის“ დირექტორი, ვასილ ბაჩურინი — „კოლმეურნეობა „ლენინის დროშის“ თავმჯდომარე, ალექსანდრე პეტრენი — სკკპ XX ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი, ვლადიმერ ფედორენკო — „კოლმეურნეობა „იუქნის“ მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი.

ჩოხატაურის რაიონის მშრომელები გულთბილად შეხვდნენ უკრაინელ მეგობრებს. საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი გ. კალანდარიშვილი დელეგაციის წევრებს ესაუბრა იმ მღწეველებზე, რომლებიც რაიონის მშრომელებმა მოიპოვეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რასაც დიდად შეუწყო ხელი უკრაინელ მეგობრებთან გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, მათმა ძმურმა დახმარებამ.

უკრაინელი სტუმრები რამდენიმე დღეს დარჩნენ ჩოხატაურში, გაეცნენ რაიონის ეკონომიკას, იმსჯელეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შედეგებზე და გაფორმეს ახალი ხელშეკრულება.

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

საბიბლიოთეკო დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დამსახურებისა და ... ...

თოჯინების ხელოვნება

როცა ფესტივალი დამთავრდა

ტაშკენტში გამართულ აზიის ქვეყნების თოჯინების თეატრების ფესტივალზე საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობდნენ შუა აზიისა და ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკა, აგრეთვე ბაშკირეთის ავტონომიური რესპუბლიკა, უცხოეთიდან კი ინდოეთი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, ფილიპინები, ბანგლადეში, ტაილანდი. გარდა მონაწილეებისა, ფესტივალზე თავიანთი მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები — რეჟისორები, დრამატურგები, მხატვრები, თეატრალური კრიტიკოსები მოვლინეს როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ევროპისა და აზიის თეატრებმა, თეატრალურმა კავშირებმა, კულტურის სამინისტროებმა.

ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა ტაშკენტის ოპერის თეატრში. საზეიმო დღეებს დამთხვა უაღრესად სასიამოვნო ფაქტი — ნორჩ ტაშკენტელ მაყურებლებს გადაეცათ თოჯინების თეატრის ახალი შენობა, რომელიც ქალაქში უკანასკნელ წლებში მიმდინარე გრანდიოზულ მშენებლობათა ფონზეც კი გამოირჩევა.

ფესტივალი, რომელიც ერთ კვირას გრძელდებოდა თოჯინების ახალ თეატრში, ჰ. ჰამზას სახელობის დრამის თეატრსა და საკონცერტო დარბაზში დამთავრდა თბილისის თოჯინების თეატრის წარმოდგენით.

გაიმართა სიმპოზიუმი თოჯინების თეატრის დღევანდელი დღისა და მისი სოციალური როლის შესახებ; მოხსენება გააკეთა თბილისის თოჯინების თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. სარჩიმელიძემაც; იყო შეხვედრები, საუბრები, აზრთა გაზიარება, კამათი თოჯინების თეატრისა და საერთოდ თეატრის საჭირბოროტო საკითხებზე.

უცხოეთის თეატრები ფესტივალზე წარდგნენ უპირველესად როგორც ტრადიციის ერთგული კოლექტივები რეპერტუარისა თუ სპექტაკლების ფორმის მხრივ. მათგან ორმა კოლექტივმა — ინდოეთისა და ბანგლადეშის თეატრებმა მიიქცია ყურადღება; ეს ორი თეატრი ტექნიკური თვალსაზრისით განსხვავდება სხვებისგან. ინდოელებმა გვაჩვენეს ეგრეთ წოდებული ჩრდილების წარმოდგენა. ჩრდილების თეატრი ისეთივე ძველი და ტრადიციულია, როგორც საერთოდ, თოჯინებისა. ტყავისაგან დამზადებული ბრტყელი თოჯინები „თამაშობდნენ“ ერთგვარ ეკრანზე, რომელზეც მსახიობების უკან მოთავსებული სანთლების მეშვეობით ირეკლებოდა გამოსახულება, რაც საკმაოდ ეფექტური და საინტერესო იყო.

ბანგლადეშის თეატრმა, რომელიც ზემოდან სამართავი თოჯინებით — მარიონეტებით მუშაობდა, წარმოადგინა პატარა-პატარა ყოფითი სცენები საოცრად, ცოცხალი, გულწრფელი, ხალისიანი და ოსტატურად შესრულებული სანახაობა.

საბჭოთა კავშირიდან საყურადღებო იყო სომხეთისა და უზბეკეთის თოჯინური სპექტაკლები, მიუხედავად მასალისა და მისი რეჟისორული თუ აქტიორული რეალიზაციის ერთგვარი ეკლექტიურობისა, მასპინძლებმა გვიჩვენეს სერიოზული თეატრალური აზროვნებისა და ძიების ნიშები.

სხვადასხვა აზრი გამოთქვა ბაშკირული სპექტაკლის — ჩ. აიტმატოვის „თეთრი ვემის“ გამო, თუმცა მაყურებელთა უმრავლესობამ თავისი მოწონება ხანგრძლივი ტაშით გამოხატა.

მაყურებელთა და პროფესიონალთა შორის აზრთა სხვადასხვაობა იმით გამოიხატებოდა, რომ პრობლემებისადმი დამოკიდებულებით, შესრულების მანერით, გამოსახვის საშუალებებით, ტექსტის სიჭარბით, ფსიქოლოგიურობით იგი უფრო დრამატულ თეატრს წაგავდა, ვიდრე თოჯინურს. ამიტომ თოჯინები უფრო სწორად თოჯინა-ნიღაბი, რომელიც მთელ სხეულზე ჰქონდათ აფარებული უთუჯიროდ მოთამამე მსახიობებს, ფორმალურად, ზედმეტად გამოიყურებოდა, თუმცა სპექტაკლში იყო საინტერესო რეჟისორული მიგნებები, ცალკეული ეფექტები.

საქართველო ამ ფესტივალზე წარმოდგენილი გახლდათ თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრით, რომელმაც მაყურებელს უჩვენა მზია ხეთაგურის „ხეტიალა“. ეს არის სადა, ნათელი და გასაგები სპექტაკლი პატარებისათვის. პიესას თეატრმა მოუძებნა საინტერესო ფორმა, სადაც ორგანულად არიან ერთმანეთთან შერწყმული თოჯინები და მსახიობთა ხელები; სპექტაკლში იდენტური თოჯინები (სამი ბერიკაცი, სამი მწყემსი, სამი გოგონა) კარგად გამოხატავენ მთელი სოფლის, მისი ყველა ფენის დამოკიდებულებას მთავარი გმირის საქციელისადმი.

გადაწყდა ფესტივალი ჩვენი სპექტაკლით უნდა დახურულიყო, რაც თავისთავად სპატიო მისია გახლდათ; მაგრამ დასკვნითი საღამო უნდა გამართულიყო საკონცერტო დარბაზში, რომელიც თოჯინების თეატრის სპექტაკლსათვის არცთუ ისე მოსახერხებელი აღმოჩნდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ სპექტაკლიც და დახურვის ცერემონიალიც ტელევიზიით გადაიცემოდა, ძლიერი შუქი კი, მდგომარეობას გვირთულებდა. საბედნიეროდ, საორგანიზაციო კომიტეტმა საშუალება მოგვცა კიდევ ერთი სპექტაკლი გვეთამაშა სწორედ თოჯინების თეატრის ახალ შენობაში. მაყურებლები ძირითადად ბავშვები იყვნენ, მაგრამ გვესწრებოდნენ სპეციალისტებიც. ბავშვებმა „ხეტიალა“ ძალიან გულთბილად მიიღეს, ხოლო სპეციალისტები გულწრფელად გვილოცავდნენ და გვარწმუნებდნენ, რომ ეს იყო ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლი (საერთოდ, თოჯინების თეატრების საერთაშორისო ასოციაციას წესად არა აქვს გამარჯვებულების გამოვლენა და საპრიზო ადგილების განაწილება, იგულისხმება, რომ ფესტივალში მონაწილეობა თავისთავად უკვე ჯილდოა; ამიტომ სპექტაკლების შედარებითი შეფასება ეკრძალებოდა ოფიციალურ საუბრებში ხდება).

იმავე საღამოს, საკონცერტო დარბაზში, განმეორებით ვუჩვენეთ „ხეტიალა“, თუმცა წარმოდგენა აქ გარკვეული ხარვეზებით დაიდგა (ტელეგადაცემების გამო), მაგრამ დარბაზში მყოფ თვალსაჩინო სპეციალისტებს არ გამოჰპარვიათ მისი აშკარა ღირსებანი და აღიარეს, რომ „ხეტიალა“ ფესტივალის საუკეთესო წარმოდგენა იყო. დახურვის ცერემონიალზე საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა ქალბატონმა კონტრაქტორმაც აღნიშნა, ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება საქართველოს თეატრმა მოახდინო.

თბილისის თოჯინების ქართული თეატრმა უკვე მეორე საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა, ორჯერვე წარმატება მოიპოვა და დაამტკიცა, რომ შეუძლია რთული და სერიოზული პრობლემების გადაჭრა.

ჯ. ქარჩხაძე.

„ვარსკვლავების ალღუმი“

მოჭადრაკე ქალთა საკავშირო პირველობის წინ

8 დეკემბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში იხსნება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა) მოჭადრაკე ქალთა შორის.

მსოფლიოს ჩემპიონი მ. ჩიბურდანიძე, რომელიც ახლა ბად-კისინგენში (გფრ) თამაშობს, შეჯიბრებაზე სულ უკანასკნელ მომენტში ჩამოვა. გასაგები მიზეზების გამო მან და მსოფლიოს ექსჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა შარშან ვერ მოახერხეს საკავშირო ჩემპიონატში თამაში. და აი, მათი „დაკა“ ახლა უნდა გაგრძელდეს. რა თქმა უნდა, ამ ორი დიდი მოჭადრაკის მონაწილეობა თბილისის ასპარეზობას განსაკუთრებულ ეშხს აძლევს.

საკავშირო ჩემპიონატებში ყოველთვის დიდი წარმატებით გამოდიოდა ხოლმე ჩვენი შესანიშნავი დიდოსტატი ნ. ალექსანდრია. წლევანდელმა სეზონმა მას მშვენიერი შედეგები მოუტანა. გაიმარჯვა იუგოსლავიის ორ საერთაშორისო ტურნირში, ოთხივე პარტია მოიგო საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ნაკრები გუნდების ტრადიციულ მატჩში, ერთხელ კიდევ მოიპოვა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ასპარეზობაში გამოსვლის უფლება. გვჯერა, რომ ნ. ალექსანდრია ახლაც კარგად ითამაშებს და სეზონს ღირსეულად დაგვირგვინებს.

მსოფლიო პირველობის ორმა ახალგაზრდა პრეტენდენტმა ნ. იოსელიანმა (მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ბოტვინიკის რჩევით) და ნ. გურიელმა საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობისაგან თავი შეიკავეს — თებერვლის მიწურულში ხომ პრეტენდენტთა მატჩები იწყება.

საკავშირო ჩემპიონატში კიდევ ერთი თბილისელი მონაწილე იქნება. ეს გახლავთ ჩვენი ნიჭიერი ოსტატი ციური კობაიძე, რომელმაც წელს ზაფხულში პირველი ადგილი დაიკავა საკავშირო შესარჩევ ტურნირში და უმაღლესი ლიგის ერთადერთი საგზური მოიპოვა. საკავშირო ჩემპიონატში თამაში მისთვის ახალი ხილი არ გახლავთ — წინათ ასეთი დონის შეჯიბრებაში სამჯერ გამოსულა და კარგი შედეგებითაც.

თბილისს არაერთი გამოჩენილი მოჭადრაკე ეწვევა. უპირველესად უნდა დავასახელოთ მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი, ახალგაზრდა დიდოსტატი ე. ახმილოვსკაია. იგი თამამად უნდა მივიჩნიოთ თანამედროეობის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ. ახმილოვსკაია სისტემატიურად მონაწილეობს შეჯიბრებებში და, ჩვეულებრივ, მაღალ შედეგებს აღწევს. ჩვენ კრასნოიარსკელი დიდოსტატის გამოსვლა თბილისში იმიტომაც გვაინტერესებს, რომ გვინდა გავიგოთ, როგორია ამჟამად ძალთა შეფარდება მასსა და ნ. ალექსანდრიას შორის.

თბილისში იასპარეზებენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონები დიდოსტატი ი. ლევიტინა (ლენინგრადი) და საერთაშორისო ოსტატი ლ. სემონოვა (კიევი), ლ. ბელავენეცი (მოსკოვი), ლ. მულენკო (ზაპოროჟიე), ტ. ეორონოვა (რიგა), ა. გრინფელდი (კალინინგრადი), ტ. მინოგინა, რ. პოპოვა (ორიეკი — მოსკოვი) და სხვები. შეჯიბრებაში ოსტატობის კანდიდატებიც ითამაშებენ, რომელთა ამოცანა შეფარდებით მოკრძალებულია — შეასრულონ ოსტატის ნორმა.

გ. გამრეკელი.

მსოფლიო ჩემპიონი ლიდერობს

ბონი, 29 ნოემბერი. (საკდესი). მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც ბავარიის ქალაქ ბად-კისინგენში მიმდინარეობს, შვიდი ტურის შემდეგ ლიდერია მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, რომელმაც 6,5 ქულა მოაგროვა.

ტურნირი 2 დეკემბერს დამთავრდება.

სატურნირო ორგიტაფე

ფეხბურთი. სოფიაში გაიმართა უეფას თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩი ადგილობრივ „ლოკომოტივსა“ და კიევის „დინამოს“ შორის. გათამაშდა „ლოკომოტივმა“ ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა მიხაილოვმა. გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს 12 დეკემბერს.

შაში. ბაკოში გრძელდება სსრ კავშირის ჩემპიონატი რუსულ შაში. ხუთი ტურის შემდეგ გათამაშებას ორი ლიდერი ჰყავს ვ. მაკსიმიჩუკი (ოდესის ოლქის ქალაქი ტატარბუნარი) და ვ. ლიტვინოვიჩი (ლენინგრადი). მათ 3,5-3,5 ქულა დააგროვეს.

ფიგურული ციგურაობა. მოსკოვში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ნუველ დე მოსკუს“ პრიზზე. წყვილთა ციგურაობაში მოკლე პროგრამის შესრულების შემდეგ ლიდერობდნენ ი. როდნინა და ა. ზაიცევი — 32,84 ქულა (ადგილების ჯამი 7). მეორე ადგილზე იყვნენ მ. ჩერკასოვა და ს. შახრაი — 31,12 (17), მესამეზე — ი. ვორობიევა და ი. ლისოვსკი — 31,00 (20). წყვილთა ციგურაობაში შეჯიბრება გუშინ ღამით დასრულდა.

კრიკეტი. იუგოსლავიის დედაქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ფინალურ შეხვედრებში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა: სიბირიმა, ლონაკბიერმა, ნიკოლიანმა და ნურკასოვმა.

3. ღოღობერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, სკკპ წევრი 1943 წლიდან ვიტალი დავითის ძე **ღოღობერიძე.**

ვ. ღოღობერიძე დაიბადა 1918 წელს სამტრედიაში მედიკოსის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც 1942 წელს დაამთავრა.

შრომითი საქმიანობა ვ. ღოღობერიძემ 1942 წელს დაიწყო დიმიტროვის სახელობის ქარხანაში შამენებლო მუშაოთა ოსტატად, შემდეგ მუშაობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომში ინსტრუქტორად, განყოფილების გამგედ და მდივნად, 1952 წელს კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების პასუხისმგებელ ორგანიზატორად.

1952-1953 წლებში ვ. ღოღობერიძე იყო საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ხოლო შემდეგ ეკავა პასუხსაგები თანამდებობები რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანოებში. 1972 წლიდან იყო საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, 1973 წლის გადაყვანილ-ია საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილედ, ხოლო შემდეგ გადაცვლილ ბამდე მუშაობდა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილედ.

ვ. ღოღობერიძე აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი არაერთხელ აირჩევდნენ პარტიულ ორგანოებში: საქართველოს კომპარტიის თბილისის კალინინის რაიკომში, ქუთაისის საქალაქო და საოლქო კომიტეტებში და მათს ბიუროებში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ვ. ღოღობერიძის დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, აგრეთვე მედლებითა და საპატიო სიგელებით.

მისი შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა და ადამიანური ღირსებები დაუვიწყარი იქნება მეგობრებისათვის, იმათთვის, ვინც მას ახლოს იცნობდა.

საქართველოს პროფსაბჭო; საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო; სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი; საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო.

ხანძარი ვიდრე გვიან არ არის... დოვლათის მტერია

ცნობილია, რომ ხანძარი, გარდა იშვიათი შემთხვევებისა, თავისთავად არ ჩნდება. იგი ძირითადად ელემენტალური სახანძრო უშიშროების წესების დარღვევის შედეგად წარმოიშვება. თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები ამ დარღვევების აღმოსაფხვრელად, რა თქმა უნდა, ამით ყველა ხელისშემწყობი პირობა იქმნება ხანძრის წარმოშობისა და სწრაფი გავრცელებისათვის.

სახალხო მეურნეობის ობიექტებზე შომხდარი ხანძრების შემთხვევების ანალიზი თვალნათლივ მეტყველებს, რომ ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების და ორგანიზაციის ხელმძღვანელები ქმედითს ღონისძიებებს არ მიმართავენ იმისათვის, რომ აღიკვეთოს ხანძარსაშიში დარღვევები, ამასთან ძალიან ხშირად რეგიერების გარეშე ტოვებენ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების მითითებებს.

ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროების მოთხოვნებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტია ჯავის რაიონის სოფელ ბუზალას მაღაზიაში გაჩენილი ხანძარი. ეს მაღაზია ისეთ შენობაში იყო მოთავსებული, რომელიც სახანძრო უშიშროების ელემენტალურ წესებსაც კი ვერ აკმაყოფილებდა. სწორედ ამატომ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ადგილობრივმა ორგანოებმა დროულად აღძრეს საკითხი ჯავის რაიკოოპერატივის გამგეობის წინაშე, რათა შეეწყვიტათ მაღაზიის მუშაობა და იქ არსებული სასაკონლო მატერიალური ფასეულობა სხვა შესაფერის შენობაში გადაეტანათ. მიუხედავად ამისა, მაღაზია კვლავ განაგრძობდა მუშაობას და მნიშვნელოვნად იქნა გაზრდილი საქონლის ნაშთი. ერთი სიტყვით, მოვალეობისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ ის გამოიწვია, რომ **მაღაზიაში გაჩნდა** ხანძარი, რომელიც **შთანთქა** როგორც შენობა, **ისე** მატერიალური ფასეულობა.

სავაჭრო ორგანიზაციებს დიდი ზარალი შეაყენა გარდაბნის რაიკოოპკავშირის ჩამოფასებული საქონლის მაღაზიაში მომხდარმა ხანძარმა, რომელმაც მნიშვნელოვანი რაოდენობის ფასეულობა გაანადგურა.

ელაპარაკობთ რა სავაჭრო დაწესებულებებში ხანძრების შემთხვევებზე, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ქ. თბილისში, პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე „თბილსამეურნეოვაჭრობის“ № 44 მაღაზიის საწყობში გაჩენილი ხანძრის ფაქტი. საბედნიეროდ მისი კერები დროულად იქნა აღმოჩენილი და ჩაქრობილი. შემთხვევის ადგილის დათვალიერებით და საქმის შესწავლით დადგინდა, რომ საწყობში, ერთდროულად რამდენიმე ადგილას იყო ცეცხლი გაჩენილი. ჩატარებული რევიზიის და ინვენტარიზაციის შედეგად მაღაზიის მუშაკს ტ. კუციას დიდი დანაკლისი აღმოაჩნდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ტ. კუცია დაკავებულია და მიმდინარეობს ძიება.

აქვე გვინდა ვთქვათ, რომ ხანძრების თავიდან აცილების საქმეში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ სახალხო მეურნეობის ობიექტები უზრუნველყოფილი იყოს სახანძრო-სადარაჯო სიგნალიზაციით და ხანძრის ჩასაქრობი წყლის მარაგით. ამ მიმართულებით რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ამ მხრივ ყველგან სახარბიელო მდგომარეობა როდია. კერძოდ, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, „ცეკავშირის“, „საქსახსოფლტექნიკის“ სისტემების ობიექტებზე ნელი ტემპით მიმდინარეობს ამ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება.

სახანძრო უშიშროების საქმიანადმი არადამაკმაყოფილებელ ყურადღებაზე მეტყველებს ხანძარი, რომელიც თელავის რაიონის სოფელ რუისპირის კოლმეურნეობის შაბქიმიკატების საწყობში გაჩნდა. გამგეობას დროზე რომ მიეღო ზომები და სხვადასხვა ქიმიური და ხანძარსაშიში ნივთიერებანი ცალ-ცალკე სათავსებში შეენახა, შეიძლებოდა არ მომხდარიყო მათი თვითაალება და კოლმეურნეობას არ გაწეულად საგრძნობი მატერიალური ზარალი.

რაოდენ სავალალოა ისეთი ფაქტები, როდესაც ხანძრის შედეგად იღუპებიან ცხოველები და ფრინველები, ან ნადგურდება მათი საკვები, ასეთი შემთხვევები, მაგალითად, მოხდა ცხინვალის რაიონის სოფელ აჩაბეთის მეცხოველეობის ფერმაში, სადაც 12 სული საქონელი დაიღუპა, წითელწყაროს რაიონის მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო სამრეწველო გაერთიანების ფაბრიკაში განადგურდა 4 ათასი ქათამი, ტყიბულის რაიონის სოფელ. ახალსოფელში დაიწვა 3 ათასი წიწილა, ხოლო ახალქალაქის რაიონის სოფელ ალასტანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში ცეცხლმა გაანადგურა პირუტყვის ასობით ტონა საკვები.

რამ განაპირობა ხანძრის შემთხვევები ასეთი მძიმე შედეგით? რა თქმა უნდა, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა მხრივ სახანძრო უშიშროების საკითხებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ. ისინი სათანადო ყურადღებას რომ აქცევდნენ ობიექტების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობას, თავიდან აიცილებდით მატერიალური ზარალს.

ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ხშირია შემთხვევები, როცა ხანძრები ჩნდება საცხოვრებელ ბინებში, აქ კი, ცხადია, ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ მოქალაქეები არ იცავენ სახანძრო უშიშროების ელემენტარულ წესებს.

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნძრში მცხოვრებ ა. თოფურიას ბინაში ხანძარი გაჩნდა უმეთვალყურეოდ მიტოვებული ბავშვების ცეცხლთან ცელქობის შედეგად. ცეცხლი სულ რამოდენიმე წუთში გამძვინვარდა და ბავშვების სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა. ეს მდგომარეობა შენიშნა მეზობელმა, ქ. წულუკიძის პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ გ. გეგეჭკორმა. იგი არ შეუშინდა გამძვინვარებულ სტიქიას, შეგარდა ცეცხლის ალში გახვეულ ბინაში და ორი ბავშვი სამშვიდობოზე გამოიყვანა. სამწუხაროდ მესამე ბავშვის გამოყვანა ჭერის ჩამონგრევის გამო უკვე შეუძლებელი შეიქმნა. მოქალაქე ჯ. შენგელაია საცხოვრებელ სახლში (სამტრედიის რაიონი სოფ. ნიბა,კიკი) ხანძარი გაჩნდა ელექტროსადენების მოკლე ჩართვის შედეგად, აქ სახლი მთლიანად დაიწვა. ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში მცხოვრებ მოქალაქე ა. ბეჟანიძის ბინაში ხანძარი გამოიწვია საკვამლე მილის უწესივრობამ. ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება.

ყველამ იცის, რომ ხანძრის პროფილაქტიკა უფრო ადვილია, ვიდრე მისი ჩაქრობა. ამიტომ საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ ხანძრის თავიდან აცილებისათვის, წინ აღვუდგეთ საშიშ სტიქიას, რომელსაც დიდი მატერიალური და მორალური ზარალი მოაქვს.

გ. მაისურაძე,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს თანამშრომელი.

ჯილდოები შინ და გარეთ

სოხუმის რკინიგზელთა სახლის მოცეკვავეთა თვითმოქმედი ანსამბლი „როკვა“ ამ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა იუგოსლავიაში საგასტროლო მოგზაურობიდან. ანსამბლმა „კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პრემია — ახალგაზრდული ორგანიზაციის „თანამგზავრის“ საგზური დაიმსახურა „კონცერტისათვის, რომლებიც მინდვრებსა და პლანტაციებში გაუმართა მშრომელებს.

ნორჩმა მოცეკვავეებმა, რომლებსაც უკვე 15 წელია აფხაზეთის ახსრ დამსახურებული არტისტები თ. დავითაია და ქორეოგრაფი ჯ. ქაშიბაძე ხელმძღვანელობენ, იუგოსლავიიდან პირველი ხარისხის დიპლომები ჩამოიტანეს.

საზღვარგარეთ ყოფნისას ანსამბლმა „როკვამ“ რამდენიმე კონცერტი გამართა მიწისძვრის დროს დაზარალებულთა ფონდისათვის.

ამჟამად ანსამბლი ახალ პროგრამას ამზადებს.

სურათებზე: ანსამბლის სოლისტები (მარცხნიდან): ლალი მგალობლიშვილი, მადონა ჯიმშელეიშვილი და მადონა კურდღელია; ნორჩი მოცეკვავეები ბადრი როდონაია (მარცხნივ) და თამაზ ხურცილავა.

ი. ბოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

ავტომოყვარულს — შეღავათი!

საბჭო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში გარკვეული წვლილი შეაქვს ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითს საზოგადოებას. მან თავისი არსებობის ექვსი წლის მანძილზე სატრანსპორტო საშუალებათა ინდივიდუალურ მფლობელებთან მუშაობის საკმაო გამოცდილება შეიძინა.

თუმცა ამ საზოგადოებას, წესდების თანახმად, სხვადასხვა ფუნქცია აკისრია, მთავარი მაინც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლაა. აქ წარმატება გარკვეულწილად დამოკიდებულია ტრანსპორტის ინდივიდუალურ მფლობელთა შორის (რომელთა რიცხვი ჩვენს რესპუბლიკაში უკვე 230.000 აღემატება) საზოგადოების პირველადი რაიონული თუ საქალაქო ორგანიზაციების აღმრთელობითი და პროფილაქტიკური მუშაობის ეფექტიანობაზე, საზოგადოებაში ავტომოყვარულთა მასობრივ გაერთიანებაზე, ვინაიდან სადღეისოდ ამ ორგანიზაციის წევრია ზემოაღნიშნული რაოდენობის მხოლოდ 30 პროცენტი.

საზოგადოების წევრობა კეთილსაყოფიერად მოქმედებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვის შემცირებაზე, ამას შემდეგი ციფრებიც მოწმობს: 1977 წელს ავტომტრანსპორტის ინდივიდუალურ მფლობელთა მიერ ჩადენილი 1358 შემთხვევიდან საზოგადოების წევრი იყო 22 მძღოლი, 1978 წელს 1270-დან — 25, ხოლო 1979 წლის 9 თვეში მომხდარი 1040 შემთხვევიდან — 24.

ამიტომ ავტომოტომოყვარულთა საზოგადოების ორგანიზაციულად განმტკიცებას, მატერიალურად გაძლიერებას და რიცხობრივ ზრდას ყოველმხრივ უშერდა და უშერს მხარს რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა.

კერძოდ, აღნიშნული საზოგადოების წევრთათვის დაწესებული მთელი რიგი უპირატესობანი, შეღავათები სატრანსპორტო საშუალებათა სხვა მფლობელებთან შედარებით. და აი ახლახან შეღავათების ნუსხა კიდევ ერთით გაიზარდა.

ზემდგომი ორგანოების დადგენილების საფუძველზე ავტომოტომოყვარულთა საზოგადოების (ავტრარაფურმა საბჭომ შიმოშალა წესი — „სათანადო მაღაზიებიდან ავტომობილების სათადარიგო ნაწილების რეალიზაციისა და ამ ნაწილების შეძენისას საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა საზოგადოების წევრთათვის უპირატესობის მინიჭების შესახებ“. იგი შეთანხმებულია საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობის ხელმძღვანელობასთან და დაეგზავნა ყველა შესაბამის სავაჭრო ობიექტს, საზოგადოების ყველა პირველადს ორგანიზაციას.

აღნიშნული წესის თანახმად, საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრს უფლება ეძლევა (მხოლოდ თავისი პირადი ავტომობილის ტექნიკური გამართულობისათვის) რიგგარეშე შეიძინოს სათადარიგო ნაწილები ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის სისტემის მაღაზიებიდან შუამავლის მიხედვით.

საზოგადოების წევრის მიერ სათადარიგო ნაწილის შეძენის აუცილებლობას პირველადი ორგანიზაციიდან წარდგენის შემდეგ ხელმოწერითა და ბეჭდით ადასტურებს საზოგადოების შესაბამისი რაიონული (საქალაქო) საბჭოს თავმჯდომარე. შემუშავებულია განაცხადის სპეციალური ფორმა და იგი უკვე საკმაო რაოდენობით დაეგზავნათ საზოგადოების ადგილობრივ საბჭოებს. ავტომფლობელი აღნიშნულ განაცხადთან ერთად მაღაზიაში წარადგენს პასპორტს, საზოგადოების წევრობის ბილეთს, მძღოლის მოწმობას, ტექნიკურ პასპორტს, საზოგადოებრივი გაფრთხილებისა და გამფრთხილებელ ტალონს.

მაღაზია ვალდებულია საზოგადოების წევრისაგან მიიღოს აღნიშნული განაცხადი და, თუ მყიდველს ყველა ჩამთვლილი საბუთი სრულ წესრიგში ექნება, წესისამებრ მიჰყიდოს მას საჭირო სათადარიგო ნაწილები.

თუ რომელიმე ნაწილი არა აქვს, მაღაზიის დირექტორი აკეთებს ჩანაწერს ზემოაღნიშნულ განაცხადში და მიუთითებს მისი მიღების საორიენტაციო ვადებს.

განაცხადებისა და საზოგადოების წევრთა მიერ საჭირო სათადარიგო ნაწილების შეძენის აღრიცხვას აწარმოებენ საზოგადოების საბჭოები. ამასთან საბჭოების თავმჯდომარეები კვარტალში სულ ცოტა ერთხელ მაღაზიის ხელმძღვანელობასთან ერთად ადარებენ რეალიზებული და მოთხოვნილი ნაწილების რაოდენობას შემდგომში უკეთ მომსახურების მიზნით.

აღნიშნული წესის, წარსადგენი განაცხადის ფორმისა და შინაარსის დაწვრილებით გაცნობა შეიძლება საზოგადოების ყველა რაიონულ და საქალაქო საბჭოში, აგრეთვე წარმოება-დაწესებულებებთან შექმნილ საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებში.

საზოგადოების ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოები კვლავაც იზრუნებენ თავიანთი წევრების ობიექტურ მოთხოვნილებათა შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილებისათვის, და, ვიმედოვნებთ, რომ ასეთი ზრუნვის პასუხად ჩვენი საზოგადოების ყველა წევრი, ყველა ავტომოყვარული გაზრდილი პასუხისმგებლობით და სანმიშნო ქცევით სამაგალითო იქნება სხვებისათვის და ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს და საბოლოოდ აღმოიფხვრას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევი მიზეზები.

შ. შანშიაშვილი,

საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

„ვარსკვლავების ალღუმი“

მოჭადრაკე ქალთა საკავშირო პირველობის წინ

8 დეკემბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში იხსნება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა) მოჭადრაკე ქალთა შორის.

მსოფლიოს ჩემპიონი მ. ჩიბურდანიძე, რომელიც ახლა ბად-კისინგენში (გფრ) თამაშობს, შეჯიბრებაზე სულ უკანასკნელ მომენტში ჩამოვა. გასაგები მიზეზების გამო მან და მსოფლიოს ექსჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა შარშან ვერ მოახერხეს საკავშირო ჩემპიონატში თამაში. და აი, მათი „დაკა“ ახლა უნდა გაგრძელდეს. რა თქმა უნდა, ამ ორი დიდი მოჭადრაკის მონაწილეობა თბილისის ასპარეზობას განსაკუთრებულ ეშხს აძლევს.

საკავშირო ჩემპიონატებში ყოველთვის დიდი წარმატებით გამოდიოდა ხოლმე ჩვენი შესანიშ